

ბუხაიძე ლაშარ (რეზო) სოლომონის ძე

ბუხაიძე ლაშარ (რეზო) სოლომონის ძე (დ. 16. XI. 1931, თბილისი), მოქანდაკე. საქართვე. დამს. მხატვარი (1986).

დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1963). ნ. კანდელაკის, ვ. თოფურიძის, ს. ქობულაძის მოწაფე. 1976-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. მუშაობდა დაზგურ ქანდაკებაში.

ბ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ფორმის კარგი გრძნობა, უშუალობა, პოეტური განწყობილება. 1964-იდან მონაწილეობდა მხატვართა საერთაშ. (რუსეთი, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ბელგია) გამოფენებში. ნამუშევრები: „ლახტი“ (1979), „შემოდგომა“ (1981), „გაზაფხული“ (1985), „მწყემსი“ (1987; ყველა ბრინჯაო, საქართვე. სურათების გალერეა, თბილისი) და სხვ.
